

## სამაგისტრო გამოცდის ტესტების ნიმუში

1) პირს ადმინისტრაციული სახდელი დაედება:

ა) ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად;

ბ) სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად;

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით;

დ) საგადასახადო და საბაჟო კოდექსების შესაბამისად.

2) საგადასახადო ომბუდსმენს ნიშნავს:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

გ) საქართველოს პრემიერ მინისტრი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტთან შეთანხმებით.

3) ნინა ელენე ახვლედიანის მხატვრული ტილოს ძველი მფლობელია, ხოლო თამარი კი ახალი მფლობელი. ნინას სასარგებლოდ რა პერიოდამდე მოქმედებს საკუთრების პრეზუმფცია?

ა. ნინას მფლობელობის პერიოდში.

ბ. მფლობელის მიმართ საკუთრების პრეზუმფცია არ მოქმედებს.

გ. მფლობელობის დაკარგვიდან ექვსი წლის განმავლობაში

დ. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში

4) მოსარჩელე მანაგაძე არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოპასუხე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მანაგაძემ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება. მან მიუთითა,

რომ მას უწყება ჩაბარდა პროცესის წინა დღეს და ვერ მოახერხა სხდომაზე გამოცხადება, ვინაიდან მისი სოფლიდან ავტობუსი დღეგამოშვებით დადის და პროცესის დღეს იგი არ მოძრაობდა. საფუძვლიანია თუ არა მანაგაძის საჩივარი?

ა. არა, ვინაიდან თუ მხარეს უწყება ჩაბარდა იგი ვალდებულია გამოცხადდეს სხდომაზე მიუხედავად მისი ჩაბარების დროისა;

ბ. არა, ვინაიდან თუ პროცესზე არ გამოცხადდება მხარე სასამართლო ვალდებულია მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

გ. დიახ, ვინაიდან მანაგაძე მოსარჩელეა და სასამართლოს უფლება არა აქვს მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

დ. დიახ, ვინაიდან მხარეს უწყება უნდა ჩაბარდეს იმ ვარაუდით, რომ მას ჰქონდეს სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.

#### **5. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რეფერენდუმის გამართვა არ შეიძლება:**

ა. გადასახადის ახალი სახის შემოღების მიზნით;

ბ. კანონის გასაუქმებლად;

გ. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდის მიზნით;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

#### **6. დაკავებიდან რა ვადაში წარედგინება პირს დადგენილება ბრალდების შესახებ:**

ა) 24 საათში;

ბ) 48 საათში;

გ) 72 საათში.

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

7. რა შემთხვევაშია აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი, უზრუნველყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება, უშუალო იძულების საშუალებით?

ა. თუ აქტის აღსრულების დაყოვნება, ზიანს აყენებს სხვა პირის კანონიერ ინტერესს.

ბ. თუ კანონით გათვალისწინებული აღსრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალების გამოყენების მიუხედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ აღსრულდა.

გ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის ასეთ საშუალებას, კანონი არ ითვალისწინებს.

დ. თუ ასეთი საშუალების გამოყენებას მოითხოვს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

8. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, რა ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სასამართლო ოჯახური ძალადობის საქმეებზე დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების და მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე?  
(ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი)

ა. 7 დღის ვადაში;

ბ. 10 დღის ვადაში;

გ. 15 დღის ვადაში;

დ. დაუყოვნებლივ.

9. მთვრალმა პირებმა ხულიგნური ქვენა გრძნობით, განსაკუთრებული სისტიკით მოკვლის განზრახვით სცემეს ფ. ჩიჩუა და ქუჩაში მიაგდეს იმ ვარაუდით, რომ იგი მკვდარი ეგონათ, თუმცა დაზარალებული დროული დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ორივე პირს შეუფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

კანონიერია თუ არა სასამართლოს განაჩენი?

ა. არა, რადგან მცდელობისთვის არ შეიძლება უვადო თავისუფლების გამოყენება.

ბ. დიახ, რადგან მკვლელობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში.

გ. დიახ, რადგან ქმედებას თან ახლავს რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება.

დ. დიახ, რადგან სიმთვრალე ამძიმებს პასუხისმგებლობას.

10. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს განეკუთვნება:

- ა. საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ. საქართველოს პრემიერ მინისტრი;
- გ. საქართველოს პარლამენტის წევრი;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თანახმად, ევროპული სასამართლოს მოსმენები:

- ა) ყოველთვის ღიაა;
- ბ) ყოველთვის დახურულია;
- გ) ღიაა, თუ სასამართლო, გამონაკლის შემთხვევებში, სხვაგვარად არ წყვეტს;
- დ) ღიაა, თუ ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი, გამონაკლის შემთხვევებში, სხვაგვარად არ წყვეტს.

12. ვის ეკისრება შპს-ს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა?

- ა. ყველა პარტნიორს.
- ბ. საერთო კრებას.
- გ. სამეთვალყურეო საბჭოს.
- დ. დირექტორებს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შეგებულით – არანაკლებ წელიწადში:

- ა. 10 სამუშაო დღით.
- ბ. 15 კალენდარული დღით.
- გ. 15 სამუშაო დღით.
- დ. არც-ერთი პასუხი არ არის სწორი.

### ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
7. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
10. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;
11. საქართველოს შრომის კოდექსი;
12. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
13. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავიუსუფლებათა დაცვის კონვენცია.